ხელშეკრულება №85

ქ. თბილისი 08.04.2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ. ქ. რუსთავის №17-ე საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი”) და მისი დირექტორის ნელი ლიქოკელის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს „სანტექ.სერვისი” (შემდგომში „შემსრულებელი”) მისი დირექტორის ზვიად სამუშია-ს სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ. ქ. რუსთავის №17-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შესასრულებელი სამუშაოები: გასაწმენდია უნიტაზი და მწოლიარე მილი (CPV90470000).

ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 190.00 (ასოთხმოცდაათი) ლარი.

2.3 ხელშეკრულების 2.2 პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

შესყიდვების ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესასყიდი მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2 შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს კუთვნილი სადაზღვეო მომსახურების გაწევა დამკვეთის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მომსახურების გაწევის ვადები, ადგილი და პირობები

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურეობის გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელმოწერის დღიდან 7 დღის განმავლობაში

ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

5.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

5.2 ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდი ანგარიშსწორების ფორმით.

5.3 ანგარისწორება დამკვეთის მიერ მოხდება სამუშაოს დასრულებიდან არაუმეტეს 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთს უფლება აქვს:

- შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულებისანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 შემსრულებელი ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროულად და ხარისხიანად.
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ნაკლის აღდგენა.
- დროულად განიხილოს დამკვეთის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებიტი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულებასთან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 03 მაისამდე.

დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუხწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა პირობები

10.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

„დამკვეთი" **სსიპ. ქ. რუსთავის №17-ე საჯარო სკოლა** მის: ქ. რუსთავი/ გურამიშვილის ქ. №6 ს/კ 216 317 260 **ტელ: 0341 27 74 00** sajaro17@gmail.com rustavi17@mes.gov.ge **დირექტორი** **/ნ. ლიქოკელი /** ----------		**„შემსრულებელი"** **შ.პ.ს. "სანტექ სერვისი"** იურიდიული მის: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ. 4მკ/რ. კორ. 19ა. ბ.45 ს/კ 404925836 ს.ს.„თი ბი სი ბანკი" ა/ა GE68TB7072436080100003 ბ/კ TBCBGE22 **ტ. 245 02 10: 245-45-46: 579 76 72 78.** **info@santeqservice.ge** **დირექტორი** **/ზ. სამუშია/** ---------- ltd santeq. servisi Digitally signed by ltd santeq.servisi Date: 2019.04.08 15:00:40 +04'00'